სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №25

2011 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტ. ურჯუმელაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.
2. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.
3. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 დეკემბრის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 21.12.2012 წ.
4. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 8 იანვრის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 08.01.2013 წ.
5. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2013 წ.
6. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 13.12.2013 წ.

ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში – საწვავი) სახელმწიფო შესყიდვაზე.
3. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის

შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საწვავის შესყიდვაზე.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

5. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

მუხლი 2. (ამოღებულია)

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტი

სატენდერო წინადადების განხილვასა და კონსოლიდირებული ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

მუხლი 4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებას და მისი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებას უზრუნველყოფს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება სატენდერო კომისიის მიერ.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცედურების გამჭვირვალობა და მიმწოდებლების მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

5. სატენდერო წინადადების შეფასება და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება ამ წესისა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

მუხლი 5. სატენდერო მოთხოვნები და სატენდერო დოკუმენტაცია

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 191მუხლით დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური) – 5000 ლარი. საფასური გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, თუ საწვავის შესაბამის მარკის შესყიდვის მიზნით ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში საწვავის (ნავთობპროდუქციის) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ რამდენ კონსოლიდირებულ ტენდერში მიიღებს მონაწილეობას მიმწოდებელი.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის კრიტერიუმები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა

მოთხოვნები და საკითხები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 13.12.2013 წ.

მუხლი 6. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა იმართება 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასზე.

2. (ამოღებულია - 21.12.12 №17).

3. (ამოღებულია - 19.12.12 №16).

4. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 დეკემბრის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 21.12.2012 წ.

მუხლი 7. გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა

1. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მიმწოდებელი, რომელიც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს.

3. კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

4. გამარჯვებული მიმწოდებლის საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C – ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავზე (ლარში); R – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის კონსოლიდირებული ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვის საშუალო არითმეტიკული; D – გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი შესაბამისი მარკის საწვავის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% – დღგ; P – PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის კონსოლიდირებული ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

5. გამარჯვებული მიმწოდებლის 1 ლიტრი საწვავის შესაბამისი მარკის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

რომელშიც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D – გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადით.

6. C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (შემდგომში – ხელშეკრულება) გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში.

6[1]. საბარათე სისტემის ან ისეთი სისტემით/საშუალებით, რომელიც ფიზიკურად უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში – ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (შემდგომში – აგაი სისტემა) მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდებისას, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული საშუალო არითმეტიკულ ფასზე სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ოდენობით ნაკლები.

6[2]. არასაბარათე სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის გატანისას, C უნდა იყოს შესაბამისი მარკის საწვავის გატანის მოთხოვნის დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის არსებულ ფასზე სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ოდენობით ნაკლები.

7. კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი სატენდერო წინადადება, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სატენდერო კომისიის მიერ დაუშვებლად იქნება ცნობილი.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 13.12.2013 წ.

მუხლი 8. (ამოღებულია)

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

მუხლი 9. მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადება და ანგარიშსწორება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ მიმწოდებელთან, გარდა ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

2. გამარჯვებული მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულება დადოს სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. საბარათე ან აგაი სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდებისას, ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. არასაბარათე სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის გატანისას, ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად გასატანი შესაბამისი მარკის

საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ მიწოდებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასი ყოველი თვისათვის გამოითვლება ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ფორმულის მეშვეობით.

5. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

6. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც გამარჯვებულ მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი(დარჩენილი) შესაბამისი მარკის საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების საკითხი წყდება სატენდერო კომისიის მიერ.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებული მიმწოდებლისაგან საწვავის შესყიდვა იწვევს სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურისაგან შემსყიდველი ორგანიზაციის 15 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორების გამო, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სხვა მიმწოდებლისაგან ლოკალური აუცილებლობისათვის საჭირო მოცულობის საწვავი შეისყიდოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით სატენდერო კომისიისადმი მიმართვის გარეშე.

9. გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,P და „R“ და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი შესაბამისი მარკის საწვავის 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს გამარჯვებული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. აღნიშნული შეტყობინება ასევე უნდა გაიგზავნოს სატენდერო კომისიის სახელზე ოფიციალური წერილობითი ფორმით.

11. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

12. სატენდერო კომისიის მიერ შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე სხვა მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიმწოდებლის მიმართ გამარჯვებული მიმწოდებლისათვის ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვალდებულებების გავრცელების საკითხს განსაზღვრავს სატენდერო კომისია შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის გრძანება №3 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის გრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 დეკემბრის გრძანება №17 - ვებგვერდი, 21.12.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 8 იანვრის გრძანება №19 - ვებგვერდი, 08.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 იანვრის გრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის გრძანება №17 - ვებგვერდი, 13.12.2013 წ.

მუხლი 10. (ამოღებულია).

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 დეკემბრის გრძანება №16 - ვებგვერდი, 19.12.2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის გრძანება №17 - ვებგვერდი, 13.12.2013 წ.